MES 1 20 0000896768

25/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 11.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოს მდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
მანანა კველიშვილი - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
თამარ ტუფინაშვილი - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
ირმა წერეთელი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ კიკნაძე - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი,პროფესორი;
ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;
რომეო გალდავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
დიმიტრი გეგენავა - შპს სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	თამთა მოხევიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	ლაშა მაჭარაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
4	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I, II
2	მაია გოგაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
3	თამარ ლობჯანიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის დირექტორი	I
4	ანა ჟორჟოლიანი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის	I

			უზრუნველყოფის მიმართულების ხელმძღვანელი	
5	ნანა უბილავა	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	I
6	მანანა მაჩიტიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	კლინიკურების ხელმძღვანელი	I
7	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
8	მარიამ სილაგავა	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I, II
9	ლელი ბიბილაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	II
10	ნათია კალაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	II
11	შალვა ძებისაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
12	თამარ ტუფინაშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III
13	ნინო მეგრელიშვილი	შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	III
14	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	IV
15	ნათია სამუშია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	IV
16	მარინა ქარჩავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	IV
17	ანკა თაბუკაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	IV
18	მარიამ გაბუნია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	IV
19	ამირან ამბროლაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	კომპიუტერული მეცნიერებების, მათემატიკისა და ინჟინერიის სკოლის დეკანი	IV

20	მაიკლ სონდერსი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	IV
21	მერი გოგოლაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	IV

აკრედიტაციის ექსპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	თამარ დაუსი	ჩაერთო „ზუმით“	I
2	ეკა აბჟანდაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
3	მარიამ აბულაძე	ჩაერთო „ზუმით“	I
4	ზურაბ აგლაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
5	დავით ბრაგვაძე	ჩაერთო „ზუმით“	II
6	ეთერ ხანჯალიაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	II
7	დავით ჯიქია	ჩაერთო „ზუმით“	III
8	გიორგი ფიჩხაია	ჩაერთო „ზუმით“	III
9	ელენე ხურციძე	ჩაერთო „ზუმით“	III
10	ირმა ღარიბაშვილი	ჩაერთო „ზუმით“	IV

აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 272-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 275-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული დღის წესრიგი.

პირველი საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საექთნო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N60, 6.04.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საექთნო საქმე საერთაშორისო სტუდენტებისთვის
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საექთნო საქმის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	საექთნო და სამეანო საქმე, 0913
12	კვალიფიკაციის კოდი	0913
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, I კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ა რ ა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ

წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 3 ივლისს. ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმდა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი რესურსი, კერძოდ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, სიმულაციური ლაბორტორია და ბიბლიოთეკა. ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებებისა და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით.
საქართველოს უნივერსიტეტის „საექთნო საქმის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2012 წლიდან. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, რომელიც შედგება ძირითადი საგნების - 228 ECTS და არჩევითი საგნების-12 ECTS-გან, რომელსაც სტუდნეტი ირჩევს შეთავაზებული 36 ECTS-დან . პროგრამა მოიცავს თეორიულ და ლაბორატორიულ სწავლებებს, კლინიკურ პრაქტიკას (90 ECTS). კლინიკური პრაქტიკები ტარდება სხვადასხვა პროფილის სამედიცინო ბაზებზე. ლაბორატორიულ და პრაქტიკულ ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობა არ აღემატება 15-ს. კლინიკური პრაქტიკები ტარდება მენტორული სისტემის გამოყენებით. პროფესიური უნარების შეფასებისას გამოიყენება სტრუქტურირებული შეფასების სისტემა სიმულაციურ და კლინკურ გარემოში. საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამის უწყვეტი განვითარების მიზნით შეიქმნა სამუშო ჯგუფი და განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რომლებსაც საფუძვლად დაედო აკრედიტაციის ექსპერტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პესონალის, დარგის უცხოელი ექსპერტისა და შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების რეკომენდაციები. პროგრამა ხელს უწყობს და აქვს პოტენციალი მოამზადის მაღალი კომპეტენციის მქონე ექთნები. ინტეგრირებული თეორიული და პრაქტიკული სწავლება ექთანს გამოუმუშავებს საექთნო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვის კლინიკურ უნარ-ჩვევებს.
შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.3, 2.5, 2.6, 3.1, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.1, 2.2 და 2.4 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. საქართველოს მოქალაქისთვის ქართული ენის სავალდებულო საგნების ნუსხიდან ამოღება;
2. სტომატოლოგიის და საექთნი საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად, თავისი მოქმედების არეალის შესაბამისად უნდა გადიოდნენ მიკრობილოლოგიას;
3. ლექციების მიმდინარეობისას, ხარისხის დადგენის მიზნით, მეტი ყურადრება დაეთმოს საექთნო პროცესზე დაკვირვებას;

4. რეალური დამსაქმებლის ბაზრის კვლევა;
5. პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია, გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას;
6. მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა იზრუნოს თარჯიმნის ან კლინიკურ ბაზაზე შესაბამისი კადრის მომზადების საკითხზე (ენის კომპეტენცია) სწავლის პროცესში მეტი პრაქტიკოსი ექთნის (ინსტრუქტორის) ჩართულობაზე. კლინიკურ ინსტრუქტორებს (ექთანი) მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ მომავალი ექთნის აღზრდაში. კადრი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული საექთნო პრაქტიკებში, ასევე საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებსა და მიდგომებში, რაშიც ძალიან დიდ დახმარებას გაუწევს უნივერსიტეტი.

16:55 საბჭოს სხდომას შეუერთდა - დიმიტრი გეგენავა- შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც ამჟამად აღმოფხვრილია.
მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მას არ ეთანხმება, ვინაიდან მიკრობიოლოგიის სასწავლო კურსი წარმოადგენს საბაზო საგანს, რომელიც მნიშვნელოვანია საექთნო სპეციალობისთვის და გულისხმობს თეორიების, ძირითადი პრინციპებისა და ფართო ცოდნის გადაცემას საბაკალავრო დონისთვის და შექმნილია სპეციალურად საექთნო საქმის პროგრამისთვის. აღნიშნული კურსი მოიცავს ისეთ ფართო ცნებებს როგორიცაა: მიკრობიოლოგია საგანი, განვითარება და ევოლუცია, სასარგებლო და მავნე მიკროორგანიზმები, მიკრობიოლოგიის პრაქტიკული ასპექტები, ლაბორატორიული მუშაობის უსაფრთხოების საფუძვლები, მიკროორგანიზმებზე დაკვირვება მიკროსკოპით, შერებვის პროცედურები, მიკროორგანიზმების უჯრედის სტრუქტურა, ბაქტერიების ძირითადი ჯგუფების დახასიათება, მიკრობთა ზრდა და კულტივირება, ბაქტერიების კულტურულ-ბიოქიმიური მახასიათებლები მათი დეტექციისა და იდენტიფიცირებისთვის; ეუკარიოტები, სოკოები, პროტოზია და ჰელმინთები; ვირუსები, ვოროიდები, პრიონები, ბაქტერიული ვირუსების გამრავლება; დაავადებებისა და ეპიდემიოლოგის პრინციპები, ინფექციური დაავადებების სახეები და გადაცემის გზები; თანდაყოლილი იმუნიტეტი, ადაპტაციური იმუნიტეტი და ანტიმიკრობული ქიმიოთერაპიის პრინციპები. აღნიშნული სასწავლო კურსის გავლის შემდეგ ,,საექთნო საქმის“ პროგრამის სტუდენტები მიკრობიოლოგიის საბაზო ცოდნაზე დაფუძნებით, ინდივიდუალური მოქმედების არეალის შესაბამის ცოდნას ეუფლებიან სპეციფიკურ დარგობრივ საგნებში. ხაზგასასმელია, რომ მიკრობიოლოგიის კურსის სილაბუსი შემუშავებულია მიზნობრივად პროგრამისთვის და ამ თვალსაზრისით, არ საჭიროებს ცვლილებას. გარდა ამისა, ლიტერატურა, რომელიც შერჩეულია კურსისთვის არის გლობალური გამოცემები. ამდენად, მიკრობიოლოგიის კურსი სრულiად შეესაბამება ,,საექთნო სწავლებას“
მე-3 რეკომენდაციასთან მიმართებით, პროგრამის ხელმღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არც მოცემულ რეკომენდაციას იზიარებს და განმარტა, რომ ლექციები ყველა საგანში მიდის ,,საექთნო საქმის“ დარგობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით შექმნილი სილაბუსით, რომელიც ეფუძნება ,,საექთნო საქმის“ შერჩეული საერთაშორისო ძირითად და დამატებით

ლიტერატურას, ასევე პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებას. საექთნო პროფესიული დისციპლინების სწავლება, თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებული საექთნო ლიტერატურის გამოყენება, არის იმის გარანტია, რომ თითოეული ნოზოლოგიისა თუ მდგომარეობის განხილვა ხდება ექთნის პერსპექტივიდან, რაც თავისთავად გულისხმობს საექთნო პროცესის ეტაპების გამოყენებასა და შესწავლას. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას აქვს ლექციების მონიტორინგის გრაფიკი, რომელიც ითვალისწინებს საექთნო დეპარტამენტის თანამშრომლების დასწრებას წინასწარ შემუშავებული გეგმა-გრაფიკით და შეფასება ხდება შესაბამისი ინდიკატორების გამოყენებით. ერთ-ერთი ინდიკატორი არის ,,სილაბუსის მიხედვით ლექციის ჩატარება“. შესაბამისი დოკუმენტაცია ვიზიტის დროს წარედგინათ ექსპერტებს.

დაწესებულება ასევე არ დაეთანხმა მე-4 რეკომენდაციას, რასთან დაკავშირებითაც, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ჯანმრთელობის მეცნიერებების სკოლის ,,საექთნო საქმის“ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა რეალურ დამსაქმებელთა შრომის ბაზრის კვლევა. შესწავლილი იქნა ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი, ქირურგიის ეროვნული ცენტრი, რეგიონული კლინიკები და სხვა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საექთნო საქმის სექტორი მიმართულია დასავლეთისკენ და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება მოიცავს ბაზარზე გამოსულ ევროპული სტანდარტებისკენ ორიენტირებული უნარებისა და ცოდნის მქონე სტუდენტების მომზადებას, მუდმივად ხდება დაკვირვება ისეთი ავტორიტეტული ორგანიზაციების მიერ ფართომასშტაბიანი კვლევებისა და სტრატეგიებისა, როგორებიცაა: ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის რესურსებისა და სერვისების ადმინისტრაცია, აშშ-ს შრომის სტატისტიკის ბიურო, დასაქმების კვლევების დამოუკიდებელი ინსტიტუტი და სხვა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს უნივერსიტეტს აქვს პარტნიორობა სხვადასხვა საერთაშორისო დამსაქმებელთან, ორგანიზაციებთან, რომლის ფარგლებში განხორციელდა ვიზიტები საქართველოს უნივერსიტეტში, მოხდა პროგრამისა და პროცესების გაცნობა. აღსანიშნავია, რომ 1.1 სტანდარტის შეფასების ერთ-ერთი კრიტერიუმის თანახმად დაწესებულება აკმაყოფილებს სტანდარტს თუკი ,,ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს“.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, პროგრამის ხელმღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას არ ეთანხმება და რელევანტურად მიიჩნევს მისი რჩევების ნაწილში განხილვას, კერძოდ, პროგრამის შემუშავების პროცესში დეტალურად იქნა განხილული ევროდირექტივები და ამერიკული უმაღლესი საექთნო განათლების სტანდარტები. კლინიკური პრაქტიკა მართლაც უმნიშვნელოვანესია საექთნო კადრის მომზადებაში. ევროსაბჭოს დირექტივების მიხედვით, კლინიკური პრაქტიკის მინიმალური ხანგრძლივობა 2300 საათია, შესაბამისად, პროგრამაში კლინიკური პრაქტიკისთვის 2250 საათის გათვალისწინება დაწესებულებამ მისაღებად ჩათვალა.

მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი არც აღნიშნულ რეკომენდაციას იზიარებს, კერძოდ საექთნო კლინიკური პრაქტიკა მაქსიმალურად ითვალისწინებს საბაკალავრო სწავლების ყველა სპეციფიკას. კლინიკურ პრაქტიკას წარმართავს მენტორი, რომელსაც ყველა პრაქტიკისთვის აქვს განსაზღვრული გეგმა, რომელიც გარდა დაგეგმილი საკითხებისა და უნარების შესწავლისა, იძლევა სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობის საშუალებას. სტუდენტები პრაქტიკოსი ექთნებისგან სწავლობენ პროცედურა-მანიპულაციებს. მენტორების გუნდს გავლილი აქვს საექთნო კლინიკური პრაქტიკის მენტორის გადამზადების კურსი და აქვთ მუდმივი კონსულტაციების აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, შოტლანდიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია ასევე, რომ ნორთვესტის უნივერსიტეტის სტუდენტების 4-7 კაციანი ჯგუფი კლინიკური პრაქტიკის ნაწილს გადის დაწესებულების მენტორების ხელმძღვანელობით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17: 08
დასრულების დრო: 17: 32

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნოს საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

პირველი საკითხის კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ მე-2 სტანდარტი განსაზღვრა, როგოც სრულიად შესაბამისი და რიგი რეკომენდაციები მიაკუთვნა რჩევებს, კერძოდ:
1. სტომატოლოგიის და საექთნი საქმის სტუდენტები ინდივიდუალურად თავისი მოქმედების არეალის შესაბამისად უნდა გადიოდნენ მიკრობიოლოგიას;
3. რეალური დამსაქმებლის ბაზრის კვლევა;
4. პრაქტიკული კრედიტების გაზრდა - თეორიული მეცადინეობის ხანგრძლივობა სასურველია, გრძელდებოდეს სულ მცირე მთელი პროგრამის ერთი მესამედი, კლინიკური მეცადინეობა კი მინიმალური მოსამზადებელი პროგრამის ნახევარი, ანუ მინიმუმ 3600 საათი უნდა დაეთმოს კლინიკურ მომზადებას.

გადაწყვეტილება
“უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის "საექთნო საქმის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2. მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გლობალური და უსაფრთხოების სწავლებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	1. დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლიტიკის მაგისტრი; 2. უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია
12	კვალიფიკაციის კოდი	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები, 0312
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77, თბილისი, IV კორპუსი, 0171, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ა რ ა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ „გლობალური და უსაფრთხოების სწავლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს უნივერსიტეტის მიერ, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი კანონდებლობა კრძალავს ორი კვალიფიკაციის მინიჭებას, პროგრამა სააკრედიტაციო ცენტრში შემოვიდა 2020 წლის 27 ინვარს, ანუ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებისა და უმაღლესი საგამნმანათლებო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების და საფასურის დამტკიცების შესახებ“ დოკუმენტში ცვლილებების ასახვამდე. შესაბამისად განცხადების შემოტანის დროს მოქმედი დებულების მიხედვით სამაგისტრო საფეხურზე არ იყო შეზღუდვა 2 კვალიფიკაციის მინიჭებაზე.
აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 17 ივლისს. ვიზიტამდე, 16 ივლისს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ონლაინ რეჟიმში თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომლებიც დაისვა ვიზიტის მსვლელობისას ინტერვიუს პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. 17 ივლისს შპს საქართველოს უნივერსიტეტში ვიზიტის ფარგლებში მიმდინარეობდა სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსთან და მის მოადგილესთან, სოციალურ მეცნიერებათა სკოლის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფის წარმომადგენლებთან, ხარისხის მართვის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, ასოცირებულ, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან თუ კურსდამთავრებულებთან და პოტენციურ დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამები თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური უსაფრთხოებების სწავლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.2, 2.3, 2.5, 3.1, 3.2, 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.4 და 2.6 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე, ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი შეფასების წილი ან დადგინდეს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი;
2. აღნიშნულ პროგრამას უნდა დაემატოს პრაქტიკის კურსი, თუნდაც არჩევით კომპონენტად, რათა კარიერული განვითარებისა და სამომავლო დასაქმებისთვის გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარები თეორიულ ცოდნასთან ერთად.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით განმარტა, რომ ექსპერტთა მოსაზრება სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი შეფასების წილთან დაკავშირებით განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ პრეზენტაციის დროს სტუდენტმა ვერ შეძლოს დაადასტუროს ნაშრომის შინაარსთან, კვლევით ნაწილთან და ნაშრომის სხვა კომპონენტებთან მიმართებაში საკუთარი ცოდნა, შინაარსობრივი და ლოგიკური კავშირი. ინსტიტუცია იზიარებს ექსპერტთა დაშვებას და შესაბამისად, საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის დებულებაში, განისაზღვრება შესაბამისი დათქმა, რომელიც დარეგულირდება დებულებით.
მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ,,გლობალური უსაფრთხოების სწავლებების“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების უდიდესი ნაწილი სტუდენტს გამოუმუშავებს პრაქტიკულ უნარებს მთელი რიგი პრაქტიკული და ინტერაქციული სასწავლო აქტივობების გამოყენებით. კურსებში გამოიყენება სიმულაციები, დებატები, ანალიტიკური ანგარიშის წერა, დიპლომატიური წერილებისა და პროტოკოლის მომზადება, სტრატეგიული დოკუმენტების მომზადება, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი შესაბამის სილაბუსებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა გამოყო პროგრამის შესაბამისობის საკითხი სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებთან მიმართებით. კერძოდ, მნიშვნელოვანია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი, რომელიც არეგულირებს პროგრამების კონცენტრაციებს. სამაგისტრო საფეხურზე შესაძლებელია კონცენტრაციების მინიჭება, რომლის კრედიტების რაოდენობაც უნდა შეადგენდეს 50-ზე მეტს. აღნიშნულ პროგრამაში მოცემულია კონცენტრაციები, მაგრამ კრედიტების თვალსაზრისით ის 50-ზე ნაკლებია.
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, მოცემულ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ პროგრამა ცენტრს გაეგზავნა იანვარში, შესაბამისად ვერ განხორციელდა აღნიშნულის ჩასწორება. სტუდენტისთვის კონცენტრაციები სავალდებულოს გარდა შეთავაზებული იქნება ასევე არჩევითი კურსების სახით.
საბჭოს წევრმა, განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა და სასწავლო სილაბუსები წარმოდგენილია ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით და დაინტერესდა თუ რამ განაპირობა აღნიშნული.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში არის მხოლოდ სტრუქტურული ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაც ეტაპობრივად მიმდინარეობს. სწავლის შედეგები კი შესაბამისობაშია ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განმარტა, რომ ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, კონცენტრაციების სწავლის შედეგები, საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებში უნდა იყოს მოცემული. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ როგორ მოხდება აღნიშნულის ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით გათვალისწინებულია ორი ძირითადი კონცენტრაცია. კუსრდამთვარებულს კვალიფიკაცია ენიჭება თითოეული კონცენტრაციის მიხედვით და შესაბამისად ყოველი კონცენტრაციისთვის შედეგები ცალკე არის გაწერილი.
საბჭოს წევრმა ასევე გამოყო სამაგისტრო ნაშრომის მომზადების საკითხი და დაინტერესდა შეუძლია თუ არა მაგისტრანტს, აირჩიოს მიმართულებებიდან კონკრეტული თემატიკა და რა პრინციპებით ხდება შემდგომ ნაშრომის დაცვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომის თემატიკა არჩეული კონცენტრაციის შესაბამისია. სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესი ემყარება ხელმძღვანელობის პროცესს. ხელმძღვანელი თავისი შეფასებით ადასტურებს, რომ ნაშრომი როგორც ტექნიკურად ასევე შინაარსობრივად მზად არის ანონიმური რეცენზენტებისგან საბოლოო შეფასების მისაღებად. რეცენზენტებისგან მიღებული დადებითი შეფასების შემდეგ ხდება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. სამაგისტრო ნაშრომისთვის არ არის გათვალისწინებული ცალკე სილაბუსი, აღნიშნული საკითხი რეგულირდება საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების მიხედვით, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი, როგორც შეფასების კრიტერიუმები, ასევე სრული პროცედურა, რომელსაც ნაშრომის დასაცავად სტუდენტი გადის. რაც შეეხება პრეზენტაციის 5 ქულას, დაწესებულება მიიჩნევს, რომ სამაგისტრო ნაშრომი ორიენტირებულია დამოუკიდებელი კვლევითი უნარების გამომუშავებაზე, შესაბამისად პროცესი მიმართულია საკვლევი საკითხისა და ზოგადად კვლევის შეფასებაზე. პრეზენტაცია კი არის სტუდენტის მიგნებების წარმოდგენის უნარი, რომელიც შესაბამისად, არ არის მაღალი ქულით შეფასებული.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა, იკითხა, ხდება თუ არა სამაგისტრო ნაშრომის ორ ეტაპად შეფასება?
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ნაშრომის შეფასება ხდება ერთ ეტაპად. განმავითარებელი შეფასების მიხედვით, ნაშრომის ხელმძღვანელი სიტყვიერად და წერილობითი სახით იძლევა შეფასებას, შემდეგ კი ნაშრომის შეფასება ხდება ქულობრივად, რეცენზენტების მიერ. აღნიშნული შეფასებების შემდგომ, სტუდენტი წარადგენს პრეზენტაციას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება 100 ქულით და გამოყოფილია შეფასების ორი კომპონენტი: უშუალოდ წერილობითი ფორმით წარდგენილი ნაშრომი და პრეზენტაცია.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:10
დასრულების დრო: 18: 43

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ პირველი სტანდარტი განისაზღვრა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ხოლო მე-2 სტანდარტი ნაწილობრივ შესაბამისი. საბჭომ დამატებით დაადგინა შემდეგი რეკომენდაციები:
1. პროგრამაში ასახული ინფორმაცია შესაბამისობაში მოვიდეს პრაქტიკასთან და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების საკითხები ფორმულირდეს იმგვარად, რომ არ იძლეოდეს მის განსხვავებულად ინტერპრეტაციის შესაძლებლობას.
2. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად, კონცენტრაციები მოცემული იყოს აუცილებელი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და მოხდეს კონცენტრაციების სწავლების შედეგების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების შედეგებში.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, 3 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 3 პუნქტის და 32 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად შპს საქართველოს უნივერსიტეტის "გლობალური და უსაფრთხოების სწავლებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიცინა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N390, 12.02.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მედიცინა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიცინის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	მედიცინა, 0912
12	კვალიფიკაციის კოდი	0912
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50 (სასწავლო კომპონენტი)
15	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. N25, თბილისი, 0179, საქართველო
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ა რ ა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
კ ი
თვითაცილება განაცხადა- თამარ ტუფინაშვილმა
საფუძველი- შრომითი ურთიერთობის არსებობა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებასა და თანდართულ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმღვანელმა აღნიშნა, რომ 2020 წლის 25 ივნისს განხორციელდა ვიზიტი შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში. აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 10 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო ჯგუფის განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა ადმინისტრაციასთან – უნივერსიტეტის რექტორთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან. ასევე ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, სააუდიტორიო ოთახები, ლაბორატორიები, კაბინეტები და ა.შ.) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 2.3, 2.4, 2.5, 2.6, 3.1, 4.2, 4.3, 4.4, და 5.2 შესაბამისობაშია, 2.1, 2.2, 4.1, და 5.1 მეტწილად , ხოლო 1.2, 3.2, და 5.3 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:
1. დისერტაციების შინაარსობრივი ნაწილის კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
2. რეკომენდებულია შეიცვალოს სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ამოღებულ იქნას ფრაზა „დიპლომირებული სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მქონე პირს“;
3. პროგრამა უნდა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ ქვეპუნქტთან;

4. რეკომენდებულია პროგრამაში დოქტორანტების ხელმძღვანელებად დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა;
5. სასურველი იქნებოდა სფეროს შესაბამისი სპეციალისტების რაოდენობის გაზრდა;
6. ხარისხის სამსახურმა ყურადღება დაუთმოს პროგრამის შესაბამისობის საკითხს საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
7. ხარისხის სამსახურმა მონიტორინგის და შეფასების პროცესში ყურადღება დაუთმოს სადოქტორო დისერტაციების შინაარსობრივი შესაბამისობის საკითხს სფეროსთან.

საბჭოს თავჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ პირის ღრუ, როგორც საჭმლის მომნელებელი სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი, დიდად განსაზღვრავს მონელების პროცესს ქვემდებარე ნაწილებში. აღსანიშნავია ასევე, რომ მთელი რიგი სომატური და ასევე ინფექციური პათოლოგიის პირველი გამოვლინება სწორედ, რომ პირის ღრუში ჩნდება, ამდენად, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის ახალი გზების მოძიება ძალზედ მნიშვნელოვანია. შესაბამისად, დაწესებულება ადეკვატურად მიიჩნევს დოქტორანტების სადისერტაციო ნაშრომებით აღნიშნული საკითხის კვლევასა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ პროგრამის წინაპირობად განსაზღვრული იყო როგორც დიპლომირებული მედიკოსი, ასევე დიპლომირებული სტომატოლოგი. 2016 წელს აღნიშნულ პროგრამაზე განხორციელდა მონიტორინგის ვიზიტი, ხოლო 2018 წელს ავტორიზაციის ვიზიტი. აღსანიშნავია, რომ მოცემული ვიზიტების დროს ექსპერტებს დაშვების წინაპირობები სადაოდ არ გაუხდიათ. ვინაიდან აღნიშნული საკითხი აკრედიტაციის ვიზიტამდე არ იყო აქტუალური, დაწესებულება მაქსიმალურად შეეცდება მის გათვალისწინებას სტუდენტთა ინტერესის მაქსიმალურად დაკმაყოფილების მიზნით.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულება სრულიად იზიარებს მას და შესაბამისად მოხდება მისი გათვალისწინება.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ მე-5 რეკომენდაცია გარკვეულწილად იმეორებს მე-4 რეკომენდაციის შინაარსს და აღნიშნა, რომ მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულების 21-ე მუხლის თანახმად, სადისერტაციო საბჭო უზრუნველყოფს დოქტორანტს სამეცნიერო ხელმძღვანელით. ამასთან, დოქტორანტს ეძლევა შესაძლებლობა თვითონ აირჩიოს სამეცნიერო ხელმძღვანელი. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმღვანელი უნდა იყოს სდასუ-ს მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლის სადისერტაციო საბჭოს წევრი. სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, მაღალი კომპეტენციის, უახლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, რომელსაც ექნება სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკასთან შესაბამისი კვლევის გამოცდილება. დღესდღეობით, თითოეული დოქტორანტი უზრუნველყოფილია დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის ხელმძღვანელებით, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია ღირებულია და იქნება გათვალისიწინებული.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია მოცემულ რეკომენდაციას არ ეთანხმება, კერძოდ, სადოქტორო დისერტაციების შინაარსობრივი შესაბამისობის საკითხი სფეროსთან უზრუნველყოფილია შემდეგი გარემოებებით:

1. სადისერტაციო ნაშრომების თემებს ამტკიცებს დარგის სპეციალისტებისაგან შემდგარი კოლეგიური ორგანო - სადისერტაციო საბჭო, რომელიც აფასებს როგორც კვლევის შინაარსის აქტუალობას, ისე მის სამეცნიერო ღირებულებას შესაბამის დარგთან მიმართებაში.
2. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში, პროგრესის შეფასების მიზნით, დოქტორანტი ყოველ სემესტრულად წარსდგება სადისერტაციო საბჭოს წინაშე ანგარიშით კვლევითი კომპონენტის შესრულების შესახებ.
3. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობა ორი ოპონენტის დადებითი დასკვნა, რაც სხვა ასპექტებთან ერთად გულისხმობს სადოქტორო დისერტაციების შინაარსობრივ შესაბამისობის საკითხს სფეროსთან
4. დისერტაციის დაცვა ხდება სადისერტაციო საბჭოს მიერ დარგის სპეციალისტებისგან შექმნილი დარგობრივი კომისიის წინაშე.
აღსანიშნავია, რომ ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის და შეფასებების მიზანი არ არის დარგის სპეციალისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რევიზია, არამედ დაწესებულებაში განათლების შესაბამისი დონის შენარჩუნება სტუდენტთა მოლოდინებისა და კმაყოფილების კვლევის, სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება-ანალიზის, ლექციებზე დაკვირვების მექანიზმების გამოყენებით. შესაბამისად, დისერტაციების სფეროსთან შინაარსობრივი შესაბამისობის საკითხი დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელების და სადისერტაციო საბჭოს პრეროგატივაა და არა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ, მიმართა ექსპერტს, სადისერტაციო ნაშრომების საკითხის დაზუსტების მიზნით.
ექსპერტმა განმარტა, რომ თემატიკა შესაბამისობაშია სტომატოლოგიის სფეროსთან, თუმცა მათი განხილვა ხდება მედიცინის სფეროში და დოქტორანტებს ხარისხიც მედიცინის სფეროში ენიჭებათ. სწორედ აქედან გამომდინარეობს დარგობრივი სპეციალისტების მეტი რაოდენობით მოწვევის აუცილებლობა, რათა შინაარსობრივად მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული დარგის დადგენა. ექპერტმა აღნიშნა, რომ 17 დისერტაციიდან 8 დისერტაცია ეკუთვნის სტომატოლოგიის სფეროს. კლასიფიკატორის შესაბამისად, დენტალური მედიცინა გამოყოფილია მედიცინისაგან, შესაბამისად დენტალური მედიცინის წარმომადგენლებისთვის მედიცინის ხარისხის მინიჭება არ არის რელევანტური.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინსტიტუცია გამოხატავს მზაობას, აღმოფხვრას აღნიშნული ხარვეზები და შესაბამისად, გაატაროს აუცილებელი ცვლილებები, კერძოდ, დენტალური მედიცინა გამოიყოს და ცალკეულ პროგრამად ჩამოყალიბდეს.
საბჭოს წევრი, გიორგი თურქია დაინტერესდა, თუ რამდენად მაღალი ხარისხის იყო მედიცინის სფეროსთან შესაბამისი 9 დისერტაცია?
ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენელმა განმარტა, რომ დისერტაციები იყო საკმაოდ მაღალი ხარისხის და ისინი სრულიად შეესაბამებოდნენ მედიცინის დარგს.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა მოუწოდა ექსპერტებს, განემარტათ მე-5 რეკომენდაციის შინაარსი და მიზანი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ძირითადი პერსონალის უმრავლესობა წარმოადგენდა სტომატოლოგიურ მიმართულებას, შესაბამისად, რეკომენდაცია გულისხმობდა პროგრამაში მედიცინის სფეროს მეტი წარმომადგენლის ჩართვას. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა არ შეესაბამება კლასიფიკატორს, რაც ხარისხის სამსახურის პრეროგატივას წარმოადგენს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19: 26
დასრულების დრო:19:58

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენისა და მონიტორინგის განხორციელების პირობით.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 9
წინააღმდეგი - 2

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება გადაწყვეტილება

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-31 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 275 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 276 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის "მედიცინის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის და 6 თვეში მონიტორინგისგანხორციელების პირობით.

4. მეოთხე საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

N	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამი შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	შენობის სისტემების ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ები)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	N243, 13.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	შენობის სისტემების ინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი მშენებლობის ინჟინერიასა და მენეჯმენტში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ინტერდისციპლინური - მოიცავს ინჟინერიას, წარმოებას და მშენებლობას, 0788
12	კვალიფიკაციის კოდი	0788
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო 0159, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N240, კახა ბენდუქიძის კამპუსი
16	მსჯავრდადებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

ა რ ა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და თანდართულ დოკუმენტაციას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს, წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:
1. განაგრძოს უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის ცენტრთან საკვალიფიკაციო ჩარჩოში კვალიფიკაციის დამატებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა და მონაწილეობა მიიღოს შესაბამისი სტანდარტის შემუშავებაში;
2. უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სასწავლო მასალების ქართულ ენაზე მიწოდება, მანამ, სანამ სტუდენტები არ მიაღწევენ B2 დონეს;

პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად გაიზიარა იგი და გაატარა აუცილებელი ცვლილებები.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშში „უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე“ გაწერილია, რომ მეორე რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა შენობის სისტემების ინჟინერიის საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმისა და სემესტრული გეგმის გადახედვა და იმ ინგლისურენოვანი სასწავლო მასალების იდენტიფიცირება, რომლის გამოყენების დროსაც სტუდენტი შესაძლოა არ ფლობდეს ინგლისური ენის B2 დონეს. დაწესებულებამ ცენტრში წარადგინა „თავისუფალი უნივერსიტეტის პირველკურსელთა ინგლისური ენის დონის განსაზღვრის სტატისტიკა წლების მიხედვით“. დაწესებულების მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ პირველი კურსის საგნის - „შესავალი შენობის სისტემების ინჟინერიაში“ ფარგლებში დგება ქართულენოვანი ლიტერატურის საჭიროება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, სხვა პროგრამებზე მასალის ათვისების პრობლემა არ ჰქონიათ სტუდენტებს და ქართულენოვანი სასწავლო მასალის საჭიროება არ დაფიქსირებულა. საგანმანათლებლო დაწესებულებამ აღნიშნა, რომ გეგმის მიხედვით, 2020-2021 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრისთვის განახორციელებენ ემპირიულ დაკვირვებას შემდგომი მოქმედებისათვის და თუ შედეგად დადასტურდა ქართულენოვანი სასწავლო მასალის საჭიროება, დაიწყებენ ქართულენოვანი საკითხავი მასალის შექმნაზე მუშაობას. მანამდე კი შენობის სისტემების ინჟინერიის პროგრამის სტუდენტს აღნიშნული სასწავლო კურსის შესწავლისას თუ შეექმნა პრობლემა ინგლისურენოვანი მასალის ათვისებასთან დაკავშირებით და დასჭირდება დახმარება, მასთან ინდივიდუალურად იმუშავებენ (ქართულ-ინგლისურენოვანი) ტუტორის მეშვეობით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:25
დასრულების დრო:20:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 276 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 211 პუნქტის საფუძველზე შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "შენობის სისტემების ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 20:30 საათზე

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა